პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 146 (4140)

1970 წ. 28 ივლისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

სსკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 16 აპრილიდან

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **მოსკოვი, 26 ივლისი.** აქ გაიმართა გაზეთ „ვეჩერნი მოსკვას“ რედაქციის პრიზზე ტრადიციული საქალაქო ტურნირი ელვისებურ თამაშში. პრიზი მოიპოვა დიდოსტატმა ე. ვასიუკოვმა — 18,5 ქულა 23-დან. II ადგილზე გავიდა დიდოსტატი მ. ტალი — 17,5, III — დიდოსტატი ა. ლენინ —16,5.

● **ცფიპაუ, 26 ივლისი.** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ მესამე მატჩი აქ გამართა ადგილობრივ ფეხბურთელებთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. ყველა გოლი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი. სტუმრებმა (სემიონოვი) „შრალი“ ანგარიშით წაგებას მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე დააღწიეს თავი.

● **ამსტერდამი, 26 ივლისი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „იბმ“ — 10 ტურის შემდეგ 8-8 ქულით დაწინაურდნენ საბჭოთა დიდოსტატები ბ. სპასკი და ლ. პოლუგაევსკი. ამ შეჯიბრების მესამე საბჭოთა მონაწილე — დიდოსტატი ე. გელერი 6 ქულით IV-V ადგილებს იყოფს იუგოსლავიელ დიდოსტატ ს. გლიგორიჩთან.

● **პარიზი, 26 ივლისი.** საფრანგეთის კორტებზე მიმდინარეობს ევროპის ჩოგბურთელ გოგონათა გუნდური ჩემპიონატი — „სუბაოს თასი“. კარგად ასპარეზობენ საბჭოთა სპორტსმენები: ნახევარფინალში მათ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს შვედები. იზოპაიტისმა მოუგო სტრანდბერგს — 6:3, 1:6, 7:5, კროხინამ წააგო ანდენთან — 6:3, 4:6, 4:6. გადამწყვეტი ქულა საბჭოთა გოგონებმა წყვილთა შეხვედრაში მოიპოვეს: იზოპაიტისმა და ზინკევიჩმა სძლიეს დალბერგსა და სტრანდბერგს — 6:4, 6:3. ფინალში საბჭოთა ჩოგბურთელები მასპინძლებს შეხვდებიან.

● **ტიმიშოარა** *(რუმინეთი)*, 26 ივლისი. ადგილობრივ სპორტის სასახლე „ოლიმპიაში“ გაიმართა ბალკანეთის ქვეყნების შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. წარმატება მასპინძლებს ხვდათ: მათ გაიმარჯვეს გუნდურ ჩათვლაშიც და პირადშიც. ქალთა შორის პირველი იყო ე. ჩამპელია *(75 ქულა)*, ვაჟებში — პ. მიხაიჩუკი *(112,20)*.

● **ლიპეცკი, 26 ივლისი.** მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება გოგონათა შორის კვლავ მოიპოვა ომსკელმა მეათეკლასელმა გ. შუგუროვამ. მრავალჭიდში მან 55,15 ქულა მოაგროვა, გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ასტრახანელი მოსწავლე ე. ლეონტიევა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „ტრუდის“ წარმომადგენლებმა.

● **მოსკოვი, 26 ივლისი.** სოციალისტური ქვეყნების კარტინგისტების საერთაშორისო შეჯიბრების („მეგობრობის თასი“) დღეს აქ გამართულ მესამე ეტაპზე კვლავ დიდ წარმატებას მიაღწია გდრ-ის მრბოლელთა ხუთეულმა. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოასპარეზე სტუმრებმა 395 ქულა დააგროვეს და ახლა საერთო ჯამში 1192 ქულა აქვთ. მასპინძლებმა II ადგილი დიაკავეს — 361 ქულა. 3 ეტაპის შემდეგ ისინი გუნდურ ჩათვლაშიც II ადგილს ინარჩუნებენ — 1123 ქულა. გდრ-ისა და სსრ კავშირის მრბოლელებს კვალში მიჰყვევენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის წარმომადგენლები. დღეს გამართული შეჯიბრების სამ ჩასათვლელ სერიაში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა ბერლინელი ავტომექანიკოსი, 30 წლის ი. კოხი (105 ქულა). II ადგილზეა გამარჯვებულის თანამემამულე ჰ. ვინცლერი (99). III ადგილი დაიკავა პოლონელმა ტ. რიხტერმა (88). შემდეგ მოდიან თბილისელი რ. აკოფოვი (84) და მისი თანაგუნდელი ვ. ბორტნიეკი (82). ახლა 5 ქვეყნის კარტინგისტებს წინა აქვთ ორი დასკვნითი ეტაპი, რომლებიც უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტრასებზე გაიმართება.

● **ხარკოვი,** 26 ივლისი. დინამოელ ველოსიპედისტთა საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში შესანიშნავად გამოვიდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ვ. ფეტისოვი, რომელმაც მოიგო ას წრეზე ჯგუფური რბოლა.

● **ხარკოვი,** *26 ივლისი.* აქ დაიწყო წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატი, დამთავრდა შეჯიბრებები 3-მეტრიან ტრამპლინზე. ქალთა შორის გაიმარჯვა თ. საფონოვამ *(151,15 ქულა)*, II ადგილზე გავიდა ე. ანონინა *(141,18)*, ხოლო III — გ. ალექსეევა *(სამივე — მოსკოვი)* — *139,59*. ვაჟებში ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიგო 20 წლის ვ. სტრახოვმა *(175,65)*, II ადგილზე გავიდა ვ. ვასინი *(170,54)*, ხოლო III — მ. საფონოვი *(სამივე — მოსკოვი)*—*168,43*.

● **რიგა, 26 ივლისი.** აქ მიმდინარეობს ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ პოლონელი და რუმინელი სპორტსმენები. სსრ კავშირი 3 გუნდითაა წარმოდგენილი: პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივებით და იუნიორთა გუნდით. შეჯიბრების პირველ დღეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა სძლია იუნიორებს — 3:0. რუმინელთა და პოლონელთა დაძაბული მატჩი პოლონელების გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. სსრ კავშირის პირველი ნაკრები ამ დღეს ისვენებდა.

● **ხარკოვი,** 26 ივლისი. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის კორტებზე დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ეტაპი გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. მხედველობაში გვაქვს გუნდური პირველობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველნი და რსფსრ-ს კოლექტივები. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს მოსკოველებმა. III ადგილზე გავიდნენ ესტონელი ჩოგბურთელები. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, საქართველო, ბელორუსია, ლენინგრადი და ყაზახეთი. დღეს იწყება ჩოგბურთელთა პირადი ტურნირი.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ



ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ

ბორის კამენსკიმ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავისი პირველი რესპუბლიკური რეკორდი ამ თორმეტი წლის წინ დაამყარა. შემდეგ იგი 100 მეტრზე ცურვაში რეკორდსაც დაეუფლა და, ვიდრე ცისფერ ბილიკებზე ასპარეზობდა, თავისივე მიღწევები რამდენიმეჯერ გააუმჯობესა.

ბ. კამენსკი აქტიურ სპორტს კარგა ხანია ჩამოშორდა და ახლა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ სპორტული მიმომხილველია. მის რეკორდებზე ბევრს მიჰქონდა იერიში, მაგრამ შარშანდლამდე მიზანს ვერავინ მიაღწია. ამას წინათ ქუთაისში გამართულ შეჯიბრებაში რესპუბლიკურ რეკორდებს ბათუმელი მოსწავლე ს. კრასკო დაეუფლა. თანაც, ამ უკანასკნელმა 200-მეტრიან დისტანციაზე ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა. წარმატება კრასკოს პირველმა კამენსკიმ მიულოცა...

* * *

სურათზე: ბ. კამენსკი კრასკოს წარმატებას ულოცავს.

ო. გელაშვილის ფოტო.

საბჭოთა დიდოსტატთა უმაღლესი პილოტაჟი

ლონდონი, 27 ივლისი. (საკადესი). VI მსოფლიო ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში, რომელიც ჰალავინგტონში (უილთშირის საგრაფო) ჩატარდა, სსრ კავშირის წარმომადგენელთა დიდი წარმატებით აღინიშნა. როგორც ვწერდით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ს. სავიცკაია მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ქალთა შორის II ადგილზეა მოსკოვის აეროკლუბის მფრინავი-ინსტრუქტორი ზ. ლიზუნოვა. III ადგილზე აღმოჩნდა მ. გაფნი (აშშ). სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მოიპოვა გუნდური პირველობაც.

ვაჟთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა საბჭოთა გუნდის კაპიტანი, კუბიშეველი ინჟინერი ი. ეგოროვი. II ადგილი დაიკავა რ. ჰერენდენმა, III — ჩ. ჰილარდმა (ორივე — აშშ).

საერთო გუნდური პირველობა და ნესტეროვის თასი აშშ-ს წარმომადგენლებს ხვდათ.

„ჩემპიონატში მართლაც შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, — გვიამბობს სავიცკაია. — ამინდი ძალიან გვიშლიდა ხელს. მეტოქენი კარგად იყენებენ მომზადებული, მაგრამ ერთი გაუგებრობა რომ არა, საერთო გუნდურ პირველობასაც ჩვენ მოვიპოვებდით...“

უფრო ზუსტად ამ გაუგებრობის შესახებ. მესამე ვარჯიშის შესრულების დროს ჰერენდენის თვითმფრინავს ძრავა გაუფუჭდა. კომპეტენტურმა კომისიამ დაადგინა, რომ ეს მოხდა არა ტექნიკური მიზეზით, არამედ თვით მფრინავის უყურადღებობით. ჰერენდენი დაეთანხმა ამ აზრს. წესების თანახმად და მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, მას ფრენის გაგრძელების უფლება არ მისცეს. მაგრამ მეორე დღეს ჟიურის წევრთა უმეტესობამ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და ჰერენდენს ვარჯიშის შესრულების ნება დართეს.

— ასე, შეჯიბრების მსვლელობის დროს სპორტული სამართლიანობა აშკარად დაირღვა, — აღნიშნავს მსაჯთა კოლეგიის წევრი სსრ კავშირიდან ა. კოსი, რომელიც პროტესტის ნიშნად გამოვიდა კოლეგიის შემადგენლობიდან.

ადგილები განაწილდა სამი ვარჯიშის ჯამის მიხედვით (მეოთხე ვარჯიშის გათამაშება არ მოხერხდა ცუდი ამინდის გამო).

არესტის (საერთაშორისო საავიაციო ასოციაციის კომისიის პრეზიდენტი) თასს გარდა, რომელიც ეგოროვს გადაეცა როგორც მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს, საბჭოთა სპორტსმენმა დაისაკუთრა სხვა პრიზებიც: ბრიტანეთის თვითმფრინავმშენებელთა საზოგადოების (პირველ სამ პროგრამაში გამოჩენილი უმაღლესი ოსტატობისთვის), აერონავტიკის სამეფო საზოგადოების (უცნობი სავალდებულო პროგრამის შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის) და „ბი-ბი-სი“-სა. ლიზუნოვამ მიიღო „ბას ჩარინგტროფი“ (უცნობი სავალდებულო პროგრამის შესრულებისას მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისთვის), ლ. ლეონოვას სვდა „პლეიერს გოლდ ლიფი“ (პირველ პროგრამაში გამოვლენილი უმაღლესი კლასისთვის). საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს, აგრეთვე, ბრიტანეთის სამეფო აეროკლუბის გუნდური თასი და გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ პრიზი.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, საფრანგეთის, გფრ-ის, აშშ-ს, ესპანეთის, შვეიცარიისა და ინგლისის გუნდები.

ᲕᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲓᲘᲗ

წინა ნომერში გამოგაქვეყნეთ სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა ლენინგრადში გამართული მატჩის მეორე დღის ანგარიში, რომლის ტექნიკურ შედეგებში რედაქციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ იყო ორი სახეობის მაჩვენებლები. გთავაზობთ ამ შედეგებს.

ქალები. 800 მ რბენა. ჩ. ტუსენი (აშშ) — 2.05,6, ნ. საბაიტე (სსრკ I) — 2.05,9, ე. ჰანსუმიაე (სსრკ II) — 2.06,3.

ვაჟები. ათჭიდი. ნ. ავალოვი — 7685 ქულა (11,5; 701; 13,33; 204; 50,2; 14,04; 43,70; 420; 56,18; 4.37,4), ვ. შჩერბატიხი (ორივე — სსრკ I) — 7613, ა. ორმანოვი (სსრკ II) — 7533.

ᲛᲫᲚᲔᲝᲑᲜᲝᲒᲐ

რეკორდები

ედინბურგი, 26 ივლისი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების ტრადიციულ თამაშებში ავსტრალიელმა მოცურავეებმა გ. როჯერსმა, ბ. ედვონმშმა, გ. უაიტმა და მ. ფენდენმა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 7.50,77. ძველი რეკორდი აშშ-ს ნაკრებს ეკუთვნოდა და ტოკიოს ოლიმპიადაში იქნა დამყარებული.

კიევი, 26 ივლისი. უკრაინისა და პოლონეთის მშვილდოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო მატჩში მასპინძელთა გუნდის წევრმა ვ. სიდორუკმა (ლვოვი) სსრ კავშირის სამი ახალი რეკორდი დაამყარა: 50 მეტრიდან სროლაში 308 ქულა დააგროვა, 30 მეტრიდან — 340, ხოლო ოთხი ვარჯიშის ჯამში — 1200 ქულა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. სტუმართაგან თავი გამოიჩინა პოლონეთის ვიცე-ჩემპიონმა ირენა შიდლოვსკამ (1159 ქულა).

ტალინი, 26 ივლისი. ხარკოველმა ველოსიპედისტმა რ. ობოდოვსკაიამ („ავანგარდი“) ადგილობრივ ტრეკზე ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 2 კილომეტრზე ადგილიდან გიტში — 2.37,6. ძველი მიღწევა 0,9 წამით გაუმჯობესდა.

ბერლინი, 26 ივლისი. გუშინ აქ კარინ ბალცერმა (გდრ) ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე თარჯრბენში — 12,7 წამი. ეს შედეგი ძველ მიღწევას 0,1 წამით სჯობს.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ...

მოსკოვი, 26 ივლისი (ტელეფონით). სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა ლენინგრადში გამართული ტრადიციული მატჩის მონაწილეებმა მოსკოვში გადმოინაცვლეს და „ლოკომოტივის“ რეკონსტრუირებულ სტადიონზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ 19 ოლიმპიურ სახეობაში. ვაჟები 100, 200, 400, 800, 1500 მეტრზე და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 110 მეტრზე თარჯრბენში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში ასპარეზობდნენ, ქალები — 100, 200, 400, 800, 1500 მეტრზე რბენაში, 100 მეტრზე თარჯრბენში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში ცდიდნენ ძალას.

შეჯიბრება სულ რაღაც ორ საათს გაგრძელდა. მასპინძლების გუნდის ინტერესებს ამჯერად უმეტესად მეორე ნაკრების წევრები იცავდნენ. მაგალითად, საასპარეზოდ არ გამოსულან ნ. ჩიჟოვა, ვ. ბორზოვი...

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო 21 წლის ვ. ტერნერი (აშშ) — 10,2. ეს მის პირად რეკორდზე 0,1 წამით უარესია. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ვ. საპეია (10,4), რომელიც III ადგილს დასჯერდა. ასეთივე სურათი გამეორდა ამავე დისტანციაზე ქალთა შეჯიბრებაში: იმარჯვა ა. დევისმა (აშშ) — 11,3, ნ. ბესფამილხაიამ კი თავისი საუკეთესო მაჩვენებელი (11,5) გაიმეორა, მაგრამ III ადგილს მაინც ვერ ასცდა.

მეტად საინტერესო იყო ვაჟთა ტურნირი 200 მეტრზე. მოსკოვში ასე სწრაფად უწინ არავის ურბენია. ოთხი პირველი ადგილი ამერიკელებს დარჩათ. გაიმარჯვა ტერნერმა — 20,3. ეს მის პირად რეკორდზე 0,3 წამით უკეთესია.

ამერიკელმა მძლეოსნებმა 400 მეტრზე ასპარეზობაც მოიგეს. ქალთა შორის უძლიერესმა კ. ჰემონდმა 52,4 წამი აჩვენა. ი. ბარკანემ (სსრკ) წლეულს ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო შედეგი — 53,6 — მოიპოვა. ვაჟთა შორის იმარჯვა კ. მილსმა — 46,4. ლენინგრადელი ი. ზორინი მას 0,5 წამით ჩამორჩა.

ვ. გვრილოვმა ლენინგრადში დამარცხების შემდეგ 215 სმ სიმაღლე დაძლია და გიმარჯვა. შემდეგ მან 223 სმ-ს შეუტია, მიზანთანაც სულ ახლოს იყო, მაგრამ ამ სიმაღლეზე ვერ გადახტა.

ქალთა შორის ეს სახეობა მოიგო ნ. ედანმა (სსრ კავშირი) — 175 სმ.

აი, გამარჯვებულთა ზოგიერთი სხვა შედეგი: **ქალები. 1500 მ რბენა.** ლ. ბრაგინა — 4.19,8; **ბირთვის კვრა.** ა. ივანოვა — 18,48; **ბადროს ტყორცნა.** ი. სოლონცევა — 57,84; **სიგრძეზე ხტომა.** ტ. ვოლკოვა — 619. **ვაჟები. სამხტომი.** ნ. დუდინი — 16,26; **3000 მ წინაღობებით რბენა.** ი. რიბაჩენკოვი (ყველა — სსრკ) — 8.32,5.

მეოთხე თაოგის საპატიო ამოცანა

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 25 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ნევთჩი“ (ბაქო) 1:0 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი (ილიადი), კუტიავაძე, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია (გ. ნოდია).

„ნევთჩი“: კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, რახმანოვი, ზეინალოვი, სტეკოლნიკოვი (ეინულაევი), სმოლნიკოვი, ბანიშევსკი (ალი-ზადე), გაჯიევი, შევჩენკო.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

მაშ ასე: 1970 წლის საკავშირო თასის გათამაშებაში თბილისის „დინამო“ ფინალს მიაღწია. მოყოლებული 1936 წლიდან, როცა პირველად გათამაშდა ეს საინტერესო და დაძაბული შეჯიბრება, თბილისელები უკვე მეხუთედ ადიან იმ უმაღლეს საფეხურზე, სადაც დიდი სივიწროვეა და მხოლოდ ორი, ორად ორი ადგილია დარჩენილი პრიზის პრეტენდენტებისთვის — ფინალური მატჩის ორი მონაწილისთვის. დანარჩენები მაყურებლების როლში რჩებიან.

ეს დიდი წარმატებაა — მიაღწიო ფინალს, მაგრამ როცა ასეთ წარმატებას ოთხჯერ მოიტოვებ ზურგს უკან და მეხუთედ მიაღწევ ერთსა და იმავე საფეხურს, საკითხი უნებლიედ ასე დგება: წარმატება წარმატებად, მაგრამ გამეორებას აღარა აქვს პირვანდელი წარმატების ხასიათი და ელფერი. საჭიროა პროგრესი, წინ წასვლა, ახალი ნაბიჯის გადადგმა.

რას უნდა ნიშნავდეს ნაბიჯის წინ გადადგმა თასის ხუთგზის ფინალისტისთვის? ცხადია, პრიზის მოგებას. რამდენჯერ იყო ჩვენი გუნდი სულ ახლოს ამ მიზანთან, 1946 წელს გამარჯვება თითქოს განაღდებული გვქონდა, 1960 წელს პირდაპირ ხელიდან გამოგვაცალეს პრიზი ლუჟნიკის თოვლითა და ყინულით დაფარულ მინდორზე.

ახლა — ისევ ფინალი, ისევ გადამწყვეტი ბრძოლა ბროლის თასისთვის, რომელსაც, სიმართლე რომ ვთქვათ, აკამდეც უნდა დაედო ბინა ჩვენს დედაქალაქში.

ვიცით, ძალზე ძნელი იქნება. ფინალში თბილისის „დინამო“ შეხვდება იმ გუნდს, რომელიც ყველაზე რთული მეტოქეა მისთვის — მოსკოვის „დინამოს“. ეს ის „დინამოა“, რომელმაც ერთხელ, 1937 წელს უკვე მოგვიგო ფინალი, საკავშირო ჩემპიონატების 32 გათამაშების მანძილზე კი ოცის ოდენა შვებასაც არ გვაძლევს და როგორც არავინ, ისეა დაწინაურებული ჩვენთან შეხვედრებში.

მოსკოვის „დინამოს“ ფინალში ვხვდებით ახლა, როცა იგი საუცხოო ფორმაშია. ასეთი ძლიერი გუნდი მოსკოველებს არა ჰყოლიათ, თუ არ ვცდებით, 1963 წლიდან, როცა მათ უკანასკნელად მოიპოვეს ჩემპიონთა ოქროს medali. მოსკოვის „დინამოს“ ჰყავს პირველხარისხოვანი თავდასხმა ეშტრეკოვის, ევრიუჟინინის, კოზლოვის, ავრუცკის შემადგენლობით, საუკეთესო დაცვა და ნახევარდაცვა (ზიკოვი, შტაპოვი, სმირნოვი, მასლოვი, ლარინი, ანიჩკინი), რომლებიც წარმოუდგენლად დიდი დიაპაზონისა და დატვირთვის სამუშაოს ასრულებენ მატჩის მსვლელობაში და მეტოქეს მინიმალურ შანსს თუ უტოვებენ შეტევისას თავიანთ კართან. ბევრს ახლაც მიაჩნია, რომ იაშინმა დროა თავისი ადგილი სხვა, უფრო ახალგაზრდა მეკარეს დაუთმოს და თვითონ კედელზე ჩამოკიდოს ბუცები. მაგრამ ფეხბურთის თამაშს პასპორტი კი არ წყვეტს, არამედ მოთამაშის ოსტატობა. მაშინ, როცა დინამოელებს იაშინი არ ჰყავდათ კარში, ისინი უარესად თამაშობდნენ. დაბრუნდა იაშინი და დაცვამაც ამოისუნთქა. იგი უკან კი აღარ იყურება როგორც ადრე, არამედ წინ, შეტევისკენ.

ეს გრძელი ტირადა დაგვჭირდა იმიტომ, რომ მთელი სიცხადით, სიგრძესიგანით წარმოვიდგინოთ, თუ რა უძნელესი ბრძოლა მოელით ფინალში ჩვენს ფეხბურთელებს მოსკოვის დინამოელებთან.

ბრძოლა იქნება დაუნდობელი, სასტიკი და ულმობელი.

და მით უფრო მობილიზებული, ყოველმხრივ, ყოველგვარი სიძნელისთვის მომზადებული უნდა შეხვდეს მას ჩვენი გუნდი. თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს ისე, როგორც არასოდეს უთამაშია, თითოეულმა უნდა იბრძოლოს ისე, როგორც არასოდეს უბრძოლია. თასი უნდა მოვიგოთ!

ქართულ ფეხბურთს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატების დაწყებიდან დღემდე ჩვენს ფეხბურთელებს ოთხ თაობად ყოფენ. შეიძლება, ეს დაყოფა პირობითი და მიახლოებითია, მაგრამ ახლა ამაში არაა საქმე. ეგრეთ წოდებული პირველი და მეორე თაობების წარმომადგენლები რამდენიმეჯერ იყვნენ ახლოს ჩემპიონობასთან და თასის მოგებასთან, მაგრამ არ გაუმართლათ. მესამე თაობაც ასლოს იყო ორივე ამ მიზანთან, მაგრამ თუ მას 1960 წელს თასის მოპოვება არ დასცალდა, 1964 წელს ოქროს medali ტრიუმფით იქნა მოხვეჭილი.

და აჰა, დადგა მეოთხე თაობის ჯერიც! რითაა იგი ადრინდელზე უარესი? გუნდი ჩემპიონატშიც ლიდერთა შორისაა, თასის ფინალშიც გავიდა და ახლა, როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა ცნობილია კონკრეტული მეტოქეც და მასთან ბრძოლის კონკრეტული დღეც, ამ თაობამ, ახალგაზრდობამ, ყველაფერი უნდა იღონოს, ძალები არ დაიშუროს, რათა თავისი გვარები ოქროს ასოებით ჩაწეროს ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ამოცანის გაორება, მიღწეულის იმედით დარჩენა, „ღვთის მოწყალეების იმედით“ ყოფნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მიზანი მხოლოდ ერთია — თასის მოგება.

ჩვენს გუნდს ძალუძს ამ ამოცანის შესრულება, თუმცა განვლილმა ნახევარფინალურმა მატჩმა ბაქოს „ნევთჩისთან“ მთელი რიგი რთული პრობლემები გამოიტანა მზის სინათლეზე. განა საქმე მარტო ისაა, რომ მატჩი მოვიგეთ და 8 აგვისტოს ფინალის საქმე გავინადდეთ?

თქვენ, ალბათ, ყველას გახსოვთ ამასწინანდელი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და „ნევთჩის“ შორის ბაქოში. გახსოვთ, რას ჰგავდა ჩვენი გუნდი: მოდუნებული, ინერტული, უმოძრაო. მაშინ ბაქოელებმა ფრთები შეისხეს დინამოელთა უმოქმედობის შემყურეებმა, ყველაფერი გააკეთეს გაძარჯვებისთვის და გაიმარჯვეს კიდეც.

ბაქოელებს არც ახლა დაუკლიათ ცდა. ისინი ისევ ისე შესაშური გულმოდგინებითა და თავგანწირვით, წარმოუდგენელი ენერგიით იბრძოდნენ ფინალში გასასვლელად, როგორც ჩემპიონატის მატჩში თავიანთ მინდორზე — 2 ქულის ასაღებად. გასაგებია: „ნევთჩი“ საერთო კლასით, შემადგენლობის სიძლიერით გაცილებით ჩამორჩება თბილისის „დინამოს“ და ამ განსხვავების ანაზღაურებას ცდილობს თავდაუზოგავი ბრძოლით, იმით, რომ უფრო ძლიერ მოთამაშეს არ მისცეს თავისი მაღალი კლასის დემონსტრირების, საერთო უპირატესობის გამოვლენის საშუალება. ბაქოელებმა შინ ეს შეძლეს, თბილისში კი ვერა, ვინაიდან დინამოელებმა ამჯერად „ხელი გამოიღეს“ და „ნევთჩის“ ასეთივე თავგამოდებული, ძლიერი, ათლეტური თამაში დაუპირისპირეს.

ჩვენ შევით ვთქვით, რომ თბილისელებს ჰქონდათ ნაკლი ამ მატჩში. რას გგულისხმობთ ამ სიტყვებში? იმას, რომ არ შეიძლება მეტოქის კართან შექმნა არა 2 და 3, არამედ 10-12 ნაღდი საგოლე მომენტი და ვერ გამოიყენო ისინი. მატჩი დამთავრდა ისე, რომ თბილისელთა გამარჯვების საქმე ბეწვზე ეკიდა მინიმალური ანგარიშის გამო (ბურთი მე-19 წუთზე საკუთარ კარში გაიტანა ყულიევმა ლ. ნოდიასთან ბრძოლაში). მართალია, კრამარენკომ საუკეთესოდ ითამაშა და „ნევთჩი“ გადაარჩინა სოლიდური ანგარიშით დამარცხებას, მაგრამ ეს გასამართლებელ საბუთად არ გამოგვადგება. მეკარე იმიტომ დგას კარში, რომ აიღოს ყველა ბურთი, იოლი თუ ძნელი, მიიერშე მხარემ კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუშვას ხელიდან ისეთი უდავო შესაძლებლობანი, როგორიც ამ მატჩში შეიქმნა.

ასეა თუ ისე, ნახევარფინალური მატჩი მოგებულია, წინაა 8 აგვისტოს ფინალი მოსკოვის „დინამოსთან“. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ თბილისის „დინამოს“ მეოთხე თაობას, იბრძოლოს, რათა ახალი სახელოვანი ფურცელი ჩაწეროს ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

ბ. ქორძია.

* * *

განვლილ მატჩში დანიშნული იყო სპეციალური პრიზი საუკეთესო მოთამაშისთვის. ყიურის გადაწყვეტილებით, იგი გადაეცა თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველს კ. ასათიანს.

სურათზე: კ. ასათიანი (ზოლებიან მაისურში) მოწინააღმდეგე მოთამაშეთა გარემოცვაში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



სსრ კავშირის პირველობა



სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 24 ივლისი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:0 (0:0).

„სპარტაკი“: კავაზაშვილი (ბაუმა), პეტროვი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, კალინოვი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, პაპაევი (ამბარცუმიანი), ოლშანსკი.

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, შერგელაშვილი (აბზიანიძე), ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ანფიმიადი, სანაია (დელბა), ქორიძე, ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი გ. ბაღდასაროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 2:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

„კარპატი“ — გამარჯვებული



სსრ კავშირის თასის შარშანდელმა მფლობელმა — ლვოვის „კარპატმა“ წარმატებით დაასრულა საკავშირო პირველობის პირველი წრე „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. მართალია, ლვოველებმა პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრა 25 ივლისს წააგეს თავიანთ ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“ (0:2), მაგრამ მაინც სათავეში უდგანან გათამაშების ცხრილს.

თბილისის „ლოკომოტივს“ გასვლითი თამაში ჰქონდა ხაბაროვსკში, ადგილობრივ არმიელებთან. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:0, „ალგა“ (ფრუნზე) — „პამირი“ (ლენინაბადი) 3:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 1:0, „ყაირათი“ (ალმა-ათა) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:1, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (კიევი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კარპატი“ (ლვოვი)	22	12	7	3	31—11	31
„ყაირათი“ (ალმა-ათა)	21	12	6	3	33—13	30
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	21	11	5	5	23—10	27
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	21	11	5	5	24—11	27
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	21	7	12	2	25—14	26
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	21	10	6	5	22—14	26
ასკ (ხაბაროვსკი)	22	7	11	4	14—9	25
„რუბინი“ (ყაზანი)	21	9	6	6	17—18	24
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	21	8	7	6	23—19	23
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	21	8	7	6	19—20	23
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	21	8	5	8	18—28	21
„მოლდოვა“ (კიშინოვი)	21	6	8	7	17—16	20
„დინამო“ (ლენინგრადი)	21	7	6	8	23—27	20
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	21	5	9	7	20—18	19
ასკ (კიევი)	21	7	4	10	22—23	18
„პამირი“ (დუშანბე)	21	6	6	9	21—26	18
„ყუბანი“ (კრასნოდარი)	21	5	8	8	12—19	18
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	21	5	6	10	15—21	16
„ალგა“ (ფრუნზე)	21	5	6	10	15—25	16
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	21	6	2	13	16—26	14
„დაუგავა“ (რიგა)	21	3	8	10	12—26	14
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	21	3	2	16	12—43	8

შენიშვნა: „კარპატისა“ და ხაბაროვსკის ასკ-ს ერთმანეთთან ნათამაშევი აქვთ მეორე წრის მატჩი.

პირველი წრის მიჯნაზე



ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 25 ივლისი.

„დინამო“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 2:1 (0:0).

„დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, სირბილაძე, გიორგიადი, ცინარიძე, მაჩხელიანი, ვაჟა კვიტაიშვილი, ჭანტურია, ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

„დილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, გდავადსკი, ნასარიძე (ამბრიაშვილი), მარღიშვილი, ეზუხბაია, ჩიტაური, კაპანაძე, პაპიაშვილი, მალრაძე.

მსაჯი ვ. კრავჩენკო (დონის როსტოვი).

ბათუმის დინამოელთა დანაკლისზე ლაპარაკიც ზედმეტია: გუნდმა ბოლო 5 მატჩი სტუმრად ზედიზედ წააგო და ლიდერთა რიგებიდან მე-15 ადგილამდე ჩამოინაცვლა. ამასობაში გორელი ფეხბურთელები თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს და არა მარტო დაგეგეგნენ ბათუმის გუნდს, არამედ გაასწრეს კიდეც. ამ გარემოებამ განაპირობა მატჩის უკიდურესი დაძაბულობა. 90 წუთის განმავლობაში მინდორზე არ შემწყდარა შეუპოვარი, მწვავე ბრძოლა.

თავდაპირველად, რამდენადმე მაინც გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია, თუმცა სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა და ჩლაიძესაც და პავლოვსაც მოუდათ ძნელი ბურთების აღება.

შესვენების შემდეგ ბათუმელები საფუძვლიანად დაეუფლნენ ინიციატივას. 51-ე წუთზე ჩხაიძემ დაკარგა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, ცოტა ხნის შემდეგ კი მარღიშვილმა 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა და ნხოლოდ პავლოვის დროულმა ნახტომმა იხსნა ბათუმელები აშკარა გოლისგან.

ანგარიში დინამოელებმა 11-მეტრიანი დარტყმით გახსნეს. ჭანტურიას მოწოდებული ბურთი კვიტაიშვილმა კარში გაგზავნა და გორელთა მცველი ნასარიძე იძულებული იყო ხელით შეეჩერებინა ბურთი ზედ ხაზზე. პენალტი ზუსტად გამოიყენა სირბილაძემ.

85-ე წუთზე ჭანტურია — რამიშვილის კომბინაცია გორელთა კარში მეორე გოლით დამთავრდა. უკვე მაშინ, როცა წამმზომის ისარი ბოლო წრეს შეუდგა, პაპიაშვილმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეტალურგი“ ლიდერია

პირველი წრის ბოლო მატჩი „ბ“ კლასის II ზონის I ქვეჯგუფში გათამაშების ლიდერს — რუსთავის „მეტალურგს“ შინ ჰქონდა სოხუმის „დინამოსთან“.

ეს გუნდები ძველი მეტოქეები არიან. ამიტომ თამაში დაიწყო დაუშვერავად, სწრაფ ტემპში. მე-7 წუთზე დინამოელთა თავდამსხმელი ალანია კარგ პოზიციაში აღმოჩნდა და კარგადაც დარტყა კარში, მაგრამ ნარსიამ შეძლო ამ ძნელი ბურთის აღება.

ლიდერმა მხოლოდ შუა ტაიმში მიაღწია ტერიტორიულ უპირატესობას. რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ, 31-ე წუთზე, „მეტალურგის“ მცველმა აფციაურმა მიუსწრო საჯარიმო დარტყმის შემდეგ უკუგდებულ ბურთს და კარში გაგზავნა იგი — 1:0. რამდენიმე წუთის მერე კომბინაცია წიკლაური — ლობზევი—ხვედელიძე სოხუმელთა კარში მეორე გოლით დამთავრდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გაანაგრძობდნენ იერიშებს და როცა ფედიაევის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3:0, ლიდერის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა. სოხუმელებმა



II ზონა, I ქვეჯგუფი

● ●

(ალანია) 85-ე წუთზე თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით წაგებას — 1:3.

რ. ბაბრიჰიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

რუსთავი.



მოგვყავს ქვეჯგუფში ჩატარებულ სხვა შეხვედრათა შედეგები: „კახეთი“ (თელავი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 2:2, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ტორპედო“ (ეისკი) 2:1, „პროგრესი“ (კამენსკ-შასტინსკი) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა)—„სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:1, „სპარტაკი“ (რიაზანი)— „გურია“ (ლანჩხუთი) 4:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:0, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0.

„იმედის თასზე“

შეკეტოვკა, 27 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც კორ.). აქ მიმდინარეობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირის ნახევარფინალური შეჯიბრება „იმედის თასზე“. ტურნირში მონაწილეობენ მოსკოვის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ტაჯიკეთისა და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი) პირველი ორი შეხვედრა ჩაატარა ტაჯიკეთისა და მოსკოვის გუნდებთან. ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები შეხვდნენ ბელორუსიის გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 8:0. ბურთები გაიტანეს შაულაძემ, წერეთელმა და ბუცაევმა.

წარმატებას გისურვებთ, ბავშვებო!

დამთავრდა უფროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ფინალური გათამაშება „ტყავის ბურთის“ პრიზზე. გადამწყვეტი მატჩი მოეწყო თბილისის „დინამოსა“ და მაქოს „ნევთჩის“ ნახევარფინალური მატჩის წინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დილა“ და ოჩამჩირის „ამირანი“. თბილისელებმა (გუნდის მწვრთნელი ლ. ემელიანოვი) გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (გოლი გიტანა ცხოვრებაშვილმა) და დაეუფლნენ პრიზს, ხოლო მოთამაშეებმა მიიღეს ოქროს მედლები. II ადგილი დაიკავა „ამირანმა“, III — ტყიბულის „მერცხალმა“, IV — ხაშურის „აისმა“.

მთავარი ჯილდოს გარდა დაწესებული იყო სპეციალური პრიზები ცალკეული მოთამაშეებისა და გუნდებისთვის.

„მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზი (საუკეთესო მეკარეს) გადაეცა ხაშურელ კ. მჭედლიძეს, „ნორჩი ლენინელისა“ (საუკეთესო მცველს) — ტყიბულელ დ. კალატოზს, „ლელოსი“ (საუკეთესო ნახევარმცველს) — თბილისელ ს. დუდას, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ (საუკეთესო თავდამსხმელს) — ოჩამჩირელ ჯ. ჭითანავას.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულია „ამირანის“ ნახევარმცველი გ. გოგოლაშვილი. იგი დაჯილდოვდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის პრიზით, ხოლო მის თანაგუნდელ ვ. დარასელიას გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი, როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელს.

ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელები იყვნენ თბილისელი გ. შერაზადაშვილი და ოჩამჩირელი გ. გუჩუა, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჯილდოებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ტრადიციული პრიზი — „ყველაზე მეგობრულ კოლექტივს“ — გადაეცა თბილისის „დილას“.

ახლა წინაა „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო ფინალური შეჯიბრება, უმცროსი ასაკის ბიჭები იასპარეზებენ ჩელიაბინსკში 12 აგვისტოდან, ხოლო უფროსები — დონეცკში, 15 აგვისტოდან. ვუსურვოთ ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს წარმატება ამ დიდ ასპარეზზე.

* * *

სურათზე: უფროსი ასაკის ბავშვთა ტურნირში გამარჯვებული თბილისის „დილა“.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

■ ძველ სენს თავი ვერ დაალწიეს
■ დამარცხებული მასპინძელი

მოსკოვი, 27 ივლისი. გუშინ აქ გაიმართა მორიგი ტურნირი მატჩი. სსრ კავშირის ახალმა ჩემპიონმა ცსკა-მ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა.

თამაში სტუმრების იერიშებით დაიწყო. ისინი წინ იყვნენ შეხვედრის მე-15 წუთამდე, მერე კი არმიელები დაწინაურდნენ და ტაიმიც მოიგეს — 42:34.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა რამდენიმეჯერ სცადეს ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ მოსკოვის გუნდმა, რომელშიც განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდნენ ილიუკი, გილეზერი და ჯარმუხამედოვი, ამის საშუალება მათ არ მისცა. ცსკა-მ გაიმარჯვა ანგარიშით 83:72. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს არმიელთა რიგებში არ გამოსულან ანდრეევი და ს. ბელოვი.

აი, ვინ რამდენი ქულა შესძინა თავის გუნდს: ცსკა. ილიუკი — 18, გილეზერი — 11, ზახაროვი — 11, ჯარმუხამედოვი — 10, კოვირკინი — 9, კულკოვი — 6, სელიხოვი — 6, ხარჩენკოვი — 6, კაპრანოვი — 4, მილოსერდოვი — 2, კრიუჩკოვი — 0; „დინამო“. ბოლქვაძე — 20, სხიერელი — 15, უგრუხელიძე — 12, მოსეშვილი — 8, ფიცხელაური — 6, ჩიხლაძე — 4, მაღალაშვილი — 4, ვასიუტინსკი — 2, ქორქია — 1, ალთაბაევი — 0.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: დინამოელებმა მეტოქის კალათს ბურთი 64-ჯერ ტყორცნეს და მხოლოდ 28-ჯერ მიაღწიეს მიზანს (როგორც ხედავთ, ძველ სენს, რაც სროლის უზუსტობაში გამოიხატება, გუნდმა თავი ვერ დაალწია). ამ დღეს ქართველმა კალათბურთელებმა შედარებით უკეთ შეასრულეს საჯარიმო სროლები: 22-დან 16.

* * *

კიევი, 27 ივლისი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „სტროიტელისა“ და მოსკოვის დინამოელთა გუშინდელი ერთობრძოლა. სტუმრებმა პირველ ტაიმში ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს (39:33), შესვენების შემდეგ კი მტკიცედ იგდეს ხელთ ინიციატივა და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 83:72.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	32	29	3	2871—2231	29
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	33	25	8	2510—2204	25
„სტროიტელი“ (კიევი)	30	21	9	2407—2183	21
„ველგირისი“ (კაუნასი)	32	21	11	2490—2416	21
„დინამო“ (მოსკოვი)	33	21	12	2712—2580	21
„კალევი“ (ტარტუ)	31	17	14	2445—2406	17
„დინამო“ (თბილისი)	31	14	17	2439—2580	14
ასკ (რიგა)	33	11	22	2469—2642	11
ასკ (კიევი)	29	10	19	2078—2158	10
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	31	8	23	2231—2503	8
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	32	6	26	2870—2695	6
„ლოკომოტივი“ (ალმა ათა)	31	6	25	2280—2558	6

საკავშირო უნივერსიადა



კალათბურთელთა ვერცხლი

დონის როსტოვი, 27 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს კალათბურთელმა ვაჟებმა ბოლოხწინა შეხვედრა მოუგეს ყირგიზეთის წარმომადგენლებს — 87:75. ყველაფერი უნდა გაერკვია ბოლო მატჩს, რომელიც მათ ბელორუსიელებთან ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მეტოქეებიც დაუმარცხებლად მოვიდნენ ამ გადამწყვეტ შეხვედრამდე. შევნიშნავთ იმასაც, რომ უნივერსიადაზე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არ იყვნენ წამყვანი მოთამაშეები ძიძიგური და გლურჯიძე.

ტაიმის ბოლოს საქართველოს კალათბურთელები შეხვედრას 6-ქულიანი სხვაობით აგებდნენ, შესვენების შემდეგ კი ბელორუსიელებმა კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა და გაიმარჯვეს — 76:55.

ამრიგად, I ადგილი ხვდა ბელორუსიას, II — საქართველოს. III ადგილზე გავიდა სომხეთის გუნდი.

როგორც ცნობილია, საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდი ფინალურ ექვსეულში 0 ქულით შევიდა. ყოველივე დაშოკიდებული იყო იმაზე, თუ ფინალის სამ შეხვედრას როგორ დაამთავრებდნენ ჩვენი სპორტსმენები. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვეს — სამივე მატჩი მოიგეს და ვაჟების მსგავსად II საპრიზო ადგილი დაიკავეს (ჩვენმა ქალებმა ლენინგრადელები დაამარცხეს ანგარიშით 53:44, ყაზახეთის გუნდი — 49:46, უკრაინელები— 67:65).

ფრენბურთელმა ვაჟებმაც და ქალებმაც V ადგილები დაიკავეს. ვაჟებმა ბოლო ორ შეხვედრაში გაიმარჯვეს (რსფსრ-სთან — 3:2 და ლენინგრადთან — 3:0), ქალებმა კი ორივე მატჩი წააგეს (რსფსრ-სთან — 2:3, მოსკოვთან — 0:3).

უხეიროდ დაამთავრეს ტურნირი ხელბურთელმა ვაჟებმა. ისინი ფინალურ ჯგუფში ბოლო, VI ადგილს დასჯერდნენ. ტურნირის ფინიშზე მათ ორი მარცხი იწვნიეს: უზბეკეთის ნაკრებთან— 17:19 და უკრაინელებთან — 22:37.

მართლაც სიურპრიზი იყო ხელბურთელ ქალთა გუნდის გამოსვლა. საქართველოს გუნდმა შეჯიბრებაში V ადგილი დაიკავა. აქამდე ჩვენს ხელბურთელებს საკავშირო ასპარეზზე ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ბოლო ორი მატჩი საქართველოს გუნდმა ძლიერ მეტოქეებთან ფრედ დაამთავრა: ყაზახეთის წარმომადგენლებთან (15:15) და რსფსრ-ს ნაკრებთან (11:11).

● ●

ჩოგბურთელთა II მედალი

ვაჟთა ერთეულების ფინალში გავიდნენ ლენინგრადელი პოტანინი და უკრაინელი ბურკო. ლენინგრადელმა იმარჯვა (6:0, 6:8, 6:0) და პირველობაც გაინადდა. ერთეულთა თანრიგში, როგორც ვიტყობინებოდით, III ადგილი დაიკავა თბილისელმა პერეგუდოვმა.

ქალთა ერთეულების ფინალში. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოელი ბირიუკოვა და თბილისელი ფარსადანოვა. თბილისელი დამარცხდა (3:6, 1:6) და ვერცხლის მედალს დასჯერდა. III ადგილი ხვდა თბილისელ პაპაიანს.

ვაჟთა წყვილების ფინალში გამარჯვება მიეკუთვნათ პერეგუდოვსა და ბურკოს. როცა ისინი პირველ ხელს უგებდნენ პოტანინსა და მოსკოველ კოლობოვს (4:1), ამ უკანასკნელებმა ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვეს. III ადგილი მიეკუთვნათ თბილისელ ძმებს ვ. და პ. აბაშკინებს. მათი მეტოქეები სათამაშოდ არ გამოცხადდნენ.

ქალთა წყვილების ფინალში ბირიუკოვამ და ფარსადანოვამ მწვავე ბრძოლა მოუგეს პაპაიანსა და მგალობლიშვილს — 8:6, 10:8.

შერეულ წყვილთა შორის პირველობა მოიპოვეს ბირიუკოვამ და კოლობოვმა. ფინალში მათ დაამარცხეს პროკოფიევა და კაპლანი (6:3, 6:3). III ადგილისთვის შეხვედრა ფარსადანოვამ და პერეგუდოვმა მოუგეს მგალობლიშვილსა და ბურკოს — 6:4, 4:6, 6:2.

როგორც ხედავთ, საქართველოს ჩოგბურთელებმა პირად ასპარეზობაში 11 მედალი მოიხვეჭეს.

● ●

პირველი და მეხუთე

როგორც ვიტყობინებოდით, საქართველოს მოკრივეებიდან ფინალში გავიდა გ. შახსუვორიანი (63,5 კგ). მან ფინალური ბრძოლაც კარგად ჩაატარა და დაამარცხა ძლიერი მოსკოველი მეტოქე ნიკოლაევი.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა ხვდა რსფსრ-ს ნაკრებს, II ადგილი დაიკავა მოსკოვის, III — უკრაინის, IV — ლენინგრადის, ხოლო V — საქართველოს გუნდმა.

ჯ. ენუქიძე.

საბოლოო მდგომარეობა კოლექტიურ ჩათვლაში

რსფსრ	3597,5 ქულა
მოსკოვი	2858
უკრაინა	2670,5
ლენინგრადი	1711
საქართველო	1586
ბელორუსია	1445,5
ყაზახეთი	559,5
უზბეკეთი	537
სომხეთი	469
აზერბაიჯანი	341,5
ყირგიზეთი	314,5



„ტყემალმთავარმომარაგების“ ტრესტის მმართველს დიდი თათბირი ჰქონდა. შეკრებილნი დილიდან გვიან საღამომდე განიხილავდნენ რაიონულ პირველობაში ტრესტის ფეხბურთელთა გუნდის მონაწილეობის საკითხს. ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. ყველა იმ აზრისა იყო, რომ „ტყემალმთავარმომარაგება“ სუსტად გამოდის გათამაშებაში, ვერ ამართლებს ტრესტის სახელს, რომელიც გეგმებს ვადაჭარბებით ასრულებს და რაიონის ხელმძღვანელობის ქებას იმსახურებს.

სიტყვა მწვრთნელმა აიღო:

— ჩვენი გუნდი ჯერ ახალგაზრდაა, — ასე დაიწყო მან. — დიდ ჩინმედლებს რომ შეეპირდეთ, ტყუილი იქნება. ვითამაშებთ მომავლის იმედით.

— არავითარი მომავლის იმედი, — პირში მიახალა მწვრთნელს ადგილკომის თავმჯდომარემ და, თავისი რეპლიკის სიბრძნეში დარწმუნებულმა, ტრესტის მმართველს გადახედა.

მწვრთნელი განაგრძობდა.

— ფეხბურთელებთან მუშაობაში ხელს გვიშლის ტრესტის ხელმძღვანელების ჩარევა. ისინი ჩვენგან ელოდებიან მხოლოდ გამარჯვებებს და ქულებს.

— ამხანაგო, — შეაჩერა მწვრთნელი ტრესტის მმართველმა ტყემალაძემ. — იმიტომ კი არ მოგიწვიეთ, რომ თქვენს ლამაზ სახეს ვუყურო. ჩვენ მხოლოდ გამარჯვება და ქულები გვაძლევს ხელს. ხომ ხედავ, ტრესტი მუდამ გამარჯვებულია წარმოების ყველა დარგში. ჩვენი ტყემალი იგზავნება საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, საზღვარგარეთაც კი. გახედე ჩვენი კაბინეტის კედლებს, სიგელებითა და ალმებით რომ არის აჭრელებული. ფეხბურთმა რაღა დაამავა, რატომ არ უნდა ვიყოთ ჩემპიონები? წვრთნისთვის თუ დრო არ გყოფნით, დაგეხმარებით. სხვადასხვა სამმართველოში სამუშაოდ გაგზავნილი ფეხბურთელები შრომით თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ. საცხოვრებელი ბინებითაც ასი პროცენტით დავაკმაყოფილეთ; ჯამაგირიც პატარა როდი აქვთ. ბატონო, „ვოლგები“ გამოვატანინეთ. დაფიქრებულხართ კი, რაში იღებთ ამდენ ფულს?

ᲔᲯᲚᲘᲡ ᲥᲣᲚᲐ

მწვრთნელი თავჩაქინდრული ისმენდა მმართველის სადირექტივო სიტყვას.

— ერთ რამეში მაინც დამეხმარეთ. გუნდს სახელწოდება შევუცვალოთ: „ტყემალმთავარმომარაგება“ რაღაც არ ჟღერს ლამაზად, — თქვა მწვრთნელმა.

თათბირის მონაწილენი შეიშმუშნენ და ყველამ სახემოღუშულ მმართველს გადახედა. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა.

— ლამაზად ჩანგი ჟღერს და დაარქვით ეს სახელი გუნდს. მერე და, ვინ მიხვდება, რომ ფეხბურთელთა კოლექტივი ჩვენი ტრესტისაა? ჩვენი მუდმივი მოქიშპე „წყალლვინომაჭარკომბინატი“ რით არის „ტყემალმთავარმომარაგებაზე“ უკეთესი? ეს წინადადება თქვენამდე მომუშავე შვიდმა მწვრთნელმაც წამოაყენა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. „ტყემალმთავარმომარაგება“, უპირველეს ყოვლისა! თქვენგან მხოლოდ ქულებს, ქულებს მოვითხოვ! ჭირმა წაიღოს ლამაზი ფეხბურთი, გუნდის ჟღერადი სახელწოდება. ჩვენი მიზანია ჩემპიონობა მოვიხვეჭოთ, გაზეთებში ჩვენზე წერონ, ტელევიზიაში გამოგვიყვანონ. აბა, რისთვის ვხარჯავ ამდენ ფულს!

...სტადიონზე სავარჯიშოდ რომ მივიდნენ, „ტყემალმთავარმომარაგების“ გუნდის წევრებს ახალი მწვრთნელი დაუხვდათ. ამ სეზონში იგი უკვე რიგით მეცხრე იყო.

— ეს მეცხრე და სხვა მრავალი,— ერთხმად შესძახეს ტყემალმთავარმომარაგებლებმა.

ახალი მწვრთნელი მართლაც მარიფათიანი გამოდგა. მან თითქმის განაახლა გუნდი: მის შემადგენლობაში მხოლოდ მმართველის ძმისწული, მთავარი ბუღალტრის ვაჟიშვილი და მინისტრის დეიდაშვილი დატოვა.

გუნდში ახალი ხალხი მოვიდა. სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელთაგან დაკომპლექტებული გუნდი ახალი ძალით ჩაება ჩემპიონატში. გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა. ტრესტის ხელმძღვანელობაც უხვად ასაჩუქრებდა გამარჯვებულებს. მათთვის ახალი საცხოვრებელი სახლი აიგო, სარფიანი შემოსავლის მოყვარული ფეხბურთელები ყოველი მოგებული მატჩის შემდეგ პრემიებს ითხოვდნენ. ფეხბურთელთა განცხადებები ტრესტის მმართველის ხელის მოწერით კონვეიერული სისტემით იგზავნებოდა ბუღალტერიაში.

ტრესტის მმართველის კაბინეტის კარი მილიციის თანამშრომლებმა რომ შეაღეს, მაშინ კი ახალი ტყემლის ფერი დაედო ტყემალაძეს.

— რაიონში დღეს დილით ჩხუბი მოხდა, კაციც დაჭრეს. ამაში თქვენი ფეხბურთელების ხელი ურევია, — ასე დაიწყო ერთ-ერთმა მოსულმა.

ტყემალაძეს ერთი კი შვებით ამოისუნთქა. იგი უფრო სერიოზულ ამბავს ელოდა და, რაკი საქმე ფეხბურთელთა ხულიგნობას შეეხებოდა, მშვიდად ჩაეშვა სავარძელში.

— ამ ბოლო დროს საერთოდ ცუდად იქცევიან თქვენი ტრესტის ფეხბურთელები, — ჩაერია საუბარში ყველაზე დიდი ჩინის მილიციის მუშაკი. — თამაში ისე არ დამთავრდება, რომ თქვენმა ფეხბურთელებმა რაიონის მყუდროება არ დაარღვიონ. ჩვენ ხანდახან თვალს ვხუჭავთ, მაგრამ ახლა მეტისმეტი მოუვიდათ — კაცი დაჭრეს. მინდორზეც არ იქცევიან წესიერად. აგინებენ მეტოქეს, ერთმანეთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მსაჯსაც კი.

— სამაგიეროდ იმატა გამარჯვებებმა, ქულების რიცხვმა, — არ ცხრებოდა ტყემალაძე.

— ხულიგნობამ და სხვა დანაშაულმაც იმატა, — დაუმატა მილიციის მუშაკმა.

ეს ამბავი თვით ტყემალაძემ მიამბო, როცა მას ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში შევხვდი [illegible] ბუფეტში ვკითხე.

— ეჰ, გადავფუჭეთ ამ თქვენს ფეხბურთს და რა მერე! სამსახურიდან მომხსნეს საფინანსო დისციპლინის უხეში დარღვევისთვის. ფეხბურთელი თუ არ წააქეზე, არ დაასაჩუქრე, გგონია, ითამაშებს, მატჩს მოიგებს? — გულნატკენი განაგრძობდა ტყემალაძე. — უნდა ვიჩივლო, — თქვა მერე და უზარმაზარი უსტარი ამიფრიალა ცხვირწინ.

— ვის რად უნდა ასეთი ფეხბურთელები და საერთოდ ასეთი ფეხბურთი? სპორტის ეს სახეობა სიამოვნებას უნდა გვანიჭებდეს და სხვა არაფერს...

ამ სიტყვების გაგონებაზე ტყემალაძემ ზურგი შემაქცია და რედაქციის წერილების განყოფილების კარი შეაღო.

წეროს და იკითხოს, ახია მაგაზე!

ზ. ჯაფარიძე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

კოსტა ტაბალუი დასავლეთში ჯერ იყო...

გატყობინებთ „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონაში 26 ივლისს ჩატარებულ სხვა შეხვედრათა შედეგებს: „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 3:2, „დინამო“ (ბრიანსკი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 2:1, „მეტალურგი“ (ტულა) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:1, „ვოლგა“ (კალინინი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:0, „სატურნი“ (რიბინსკი)—„დინამო“ (კიროვაბადი) 0:2, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 1:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „ვოლგა“ (გორკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:1.

II ᲯᲒᲣᲤᲘ

რედაქტორი მ. კაკაბაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 2 რესპუბლიკური სპეციალური საშუალო სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისთვის.

მოსწავლეები (გოგონები და ჭაბუკები) მიიღებიან III, IV, V, VI კლასებში სპორტული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, ბადმინტონისა და აკრობატიკის განხრით. III კლასში ჩაირიცხებიან 1961 წელს, IV — 1960 წელს, V — 1959 წელსა და VI კლასში 1958 წელს დაბადებული ბავშვები.

სწავლება ქართულ ენაზეა.

ჩასარიცხთა შემოწმება სპორტულ მომზადებაში ჩატარდება სკოლა-ინტერნატში 20-დან 30 აგვისტომდე.

მსურველებს ცნობების მიღება შეუძლიათ ყოველდღიურად სკოლა-ინტერნატში. მისამართი: თბილისი, გლდანი, № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატი. ტელეფონი 66-41-34.

დირექცია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

სპიდვეი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 29 ივლისი. სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადის მეოთხედფინალური გუნდური შეჯიბრება. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

დეკეშა გზიდან

თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სასწავლებლის ელექტროსტუდიელი ლაშქრობის (თბილისი — ვოლგოგრადი) მონაწილეებმა, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნება, წარმატებით გავიარეთ მესამე საკონტროლო პუნქტი. უკან დარჩა 2000 კილომეტრი. ვუახლოვდებით ფინიშს.

კ. გირგიდოვი,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.
ფეოდოსია.

ზოგიერთი ცვლილებით

ორიოდე დღის წინ გაზეთმა „მოლოდიოჟ გრუზიი“ გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეტიუდისტთა საკავშირო კონკურსის საბოლოო შედეგები. კონკურსის არბიტრი ვ. კალანდაძე წერს, რომ ზოგიერთ ეტიუდში (ვ. ნეიძე, ტ. გორგიევი, ა. ალექსეევი) მკითხველებმა შეცდომები აღმოაჩინეს. ეს ნაწარმოებები კონკურსიდან მოიხსნა. არ მოხსნილა მხოლოდ ოსტატ გ. ნადარეიშვილის (თბილისი) ეტიუდი. მართალია, შეცდომა მასშიც აღმოჩნდა, მაგრამ ეტიუდისტმა იდეის შეუცვლელად გაასწორა იგი. ამიტომ ჟიურიმ არ შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება.

ამრიგად, პრიზები ასე განაწილდა: I. გ. ნადარეიშვილი, II. ვ. იაკიმჩიკი (უსტ-კამენოგორსკი), III. ე. ბრონი (სვერდლოვსკი), IV. დ. გურგენიძე (თბილისი), V. ე. პოღოსიანი (მოსკოვი).

საპატიო შეფასება მიიღეს ვ. დოლგოვმა (კრასნოდარის მხარე) და ა. კუზნეცოვმა (მოსკოვი).

I სპეციალური პრიზი მიეკუთვნა რ. თავარიანს (თბილისი), I სპეციალური შეფასება — ვ. ნეიძეს (თბილისი), II — ვ. ბრონს, სპეციალური საქები შეფასება — ა. სარიჩევს (ბაქო).



სურათზე: ვ. კრიშჩიშინი (მარცხნივ), რომელიც ახლახან სომბათხეში ევროპის ჩემპიონი გახდა და მისი უფროსი კოლეგა ლ. ეაბოტინსკი.

ჟურნალ „სპორტივეცის“ (ვარშავა) ფოტო.

20 45

◆ პარიზი, 27 ივლისი. ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვეს „სუბოს თასი“. ევროპის ჩოგბურთელ ქალთა (მონაწილეთა ასაკი 21 წელს არ აღემატება) გუნდური ჩემპიონატის ფინალში ე. იზოპაიტისმა (მოსკოვის „სპარტაკი“), მ. კროშინამ (ალმა-ათის „ლოკომოტივი“) და ლ. ზინკევიჩმა (ტალინის „დინამო“) ანგარიშით 3:0 დაამარცხეს საფრანგეთის გუნდი. 20 წლის იზოპაიტისმა ოოლად მოუგო ფრანგ ნ. ფუშს (6:3, 6:1), 17 წლის კროშინამ — ა.-ბ. კაშუნს — 4:6, 6:1, 9:7. წყვილთა შეჯიბრებაში იზოპაიტისმა და მისმა თანატოლმა ზინკევიჩმა აჯობეს კ. ბროჰარდს და ფუშს — 6:7, 2:6, 6:3. III ადგილი დაიკავეს შვედმა ჩოგბურთელებმა.

◆ სოპალე, 27 ივლისი. ევროპის სტუდენტ ფეხბურთელთა II ჩემპიონატში გამარჯვებისთვის საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო კავშირმა (ფისუ) აქ ოქროს მედლები გადასცა სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეებს. გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 (2:0) დაამარცხეს ესპანეთის გუნდი. ორივე ბურთი გაიტანა დონეცკის „შახტიორის“ სათადარიგო შემადგენლობის წევრმა დუდინსკიმ (სულ საბჭოთა გუნდმა იუგოსლავიაში 5 მატჩი გამართა: 4 მოგება, 1 ფრე, ბურთები — 14:9). III ადგილზე არიან ფრანგები. აი, ვინ იცავდა საბჭოთა ნაკრების სახელს: ვ. ჩანოვი, ა. ისაკოვი, ი. კიკოტი, ვ. სედნევი, ვ. იურეცკი, ვ. ისტომინი, ვალ. შევლიუკი, ე. კოროლი, ი. დუდინსკი, ვ. ევდოკიმოვი, ა. კოტოვი, ა. კულეში, ვ. სტეპანოვი, ვ. ზახაროვი, ვლად. შევლიუკი, ო. ჟილინი, ა. მინინი. გუნდის მწვრთნელია დონეცკის „შახტიორის“ მეორე მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ი. ზახაროვი.

◆ პარიზი, 27 ივლისი. „ოლიმბის“ ოლიმპიურ სტადიონზე 19 წლის ფრანგმა მძლეოსანმა ფ. ტრაკანელიმ ჭოკით 540 სმ სიმაღლე გადალახა, რაც 8 სანტიმეტრით უკეთესია ე. დ'ანკოსის წინანდელ ეროვნულ რეკორდზე.

◆ პოზნანსკა-ბისტრიცა, 27 ივლისი. სლოვაკიისა და ბუდაპეშტის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ შეჯიბრებაში გ. ფეჰერმა (უნგრეთი) ბადრო 61,96 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ი. დევინსკა (ჩეხოსლოვაკია) 634 სმ სიგრძეზე გადახტა.

◆ ლუვენი, 27 ივლისი. 5 კილომეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. კლარკმა (ავსტრალია) ბელგიის ამ ქალაქში მოულოდნელი მარცხი იწვნია „თავის“ დისტანციაზე. ფინიშთან პირველი იყო მასპინძელი ე. პუტმანსი — 13.42,6. კლარკის დროა 13.48,4.

◆ სან-რემო, 27 ივლისი. „მესინის სრუტის თასის“ გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები აქ სან-რემოს თასისთვის ბრძოლაში ჩაება და დაამარცხა იუგოსლავიისა (89:59) და იტალიის (93:31) ეროვნული გუნდები. საბჭოთა კალათბურთელები ლიდერები გახდნენ, ვინაიდან ფრანგებმა პირველ ტურში იტალიელებთან გამარჯვების (52:45) შემდეგ წააგეს იუგოსლავიელებთან — 55:65. საბჭოთა გუნდს ბოლო მატჩი ფრანგებთან აქვს.

◆ იენა, 27 ივლისი. გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ერაყის ეროვნული გუნდი — 5:0 (3:0). გამარჯვებულთაგან, რომლებმაც შარშან დეკემბერში ბაღდადში ფრედ (1:1) ითამაშეს ერაყელებთან, გოლები გაიტანეს დუკემ (2), კრაიშემ, ფოგელმა და ვაიზემ.

◆ მასტრიხტი (ჰოლანდია), 27 ივლისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ამერიკელმა ჩ. გრინმა 100 მ 10,2 წამში გაირბინა.